


მთავრობა

სკოლის მასწავლებელთა ტრენინგი ეკონომიკაში
(სამოქალაქო განათლების საგნისთვის)

გიორგი ჩიქოვანი
ახალი ეკონომიკური სკოლა საქართველო
28-29 აპრილი, თბილისი

თემები



01

მთავრობა და საზოგადოება

1 ვიდეო, ეკონომისტის რჩევა, 5 სავარჯიშო

02

ეკონომიკური აზრი და მთავრობა

1 ვიდეო, ეკონომისტის რჩევა, 4 სავარჯიშო, გუნდური სამუშაო

03

საჯარო საქონელი და მომსახურება

ეკონომისტის რჩევა, 4 სავარჯიშო

04

გადასახადები

ეკონომისტის რჩევა, 3 სავარჯიშო, 2 ტესტი

05

სახელმწიფო ბიუჯეტი

1 ვიდეო, ეკონომისტის რჩევა, 5 სავარჯიშო

06

ეკონომიკის მაჩვენებლები (ინდიკატორები)

ეკონომისტის რჩევა, 5 სავარჯიშო

07

ინფლაცია და დეფლაცია

ეკონომისტის რჩევა, 6 სავარჯიშო



მთავრობა და საზოგადოება

ნაწილი I

მთავრი კითხვები

რას ისწავლიან ამ თემის ქვეშ მოსწავლეები



რისთვის გვჭირდება მთავრობა? მმართველობა ისეთივე ძველია, როგორც კაცობრიობა. წინასიტორიულ ოჯახებს ჰყავდათ თავისი უფროსები, ქვეყნებს ჰყავდათ თავისი მმართველები, მეფეები და იმპერატორები. დემოკრატიულ ქვეყნებში მთავრობას ირჩევენ. ისტორიის განმავლობაში, მთავრობა სამართლის აღსრულების და ეროვნული თავდაცვის ფუნქციას ასრულებდა. თანამედროვე მთავრობა მეტ ფუნქციას ითავსებს. რა ფუნქციებია ეს?



მოსწავლეებს ეცოდინებათ რა ქმნის საზოგადოებრივი თანამშრომლობის და შემდგომ საზოგადოების მთავრობასთან თანამშრომლობის მოტივაციას.

როგორია ეს თანამშრომლობა და როგორია თანამშრომლობის ფარგლებში ფუნქციების განაწილება.

პასუხები და მსჯელობა

თემის ახსნა-განმარტებითი ტექსტი და პასუხები

01

საზოგადოების რაობა

ადამიანებს უწევთ შეთანხმება - როგორ იცხოვრონ ერთად.

02

თავისუფალი ბაზარი

თავისუფალი, არარეგულირებული ვაჭრობის სისტემაა, რომელშიც ადამიანები სახელმწიფოს ჩარევის გარეშე თანხმდებიან.

03

მთავრობის საჭიროება

ჩვენ ის გვჭირდება, რათა დაიცვას კერძო საკუთრება და უზრუნველყოს ეროვნული თავდაცვა. დროთა განმავლობაში, მთავრობის როლი უფრო მნიშვნელოვანი გახდა და დაემატა სხვა ფუნქციები.

04

საჯარო საქონელი უფასო არ არის

მთავრობას „უფასო“ მომსახურების გაწევა მხოლოდ მოსახლეობიდან ამოღებული ფულით შეუძლია. სახელმწიფოს საფულეში ფული ყოველი გადამხდელისგან შედის, მიუხედავად იმისა, იყენებს თუ არა საჯარო სკოლას და საჯარო პარკს.

05

მთავრობის უფლებამოსილების საზღვარი

მთავრობის ფუნქციების განსაზღვრისთვის არ არსებობს ერთხელ და სამუდამოდ მოქმედი წესი - საჯარო ფუნქციები ქვეყნების მიხედვით ძალიან განსხვავდება. საჯარო ფუნქციების შესრულებისას მთავრობის წარმომადგენლები წყვეტენ თუ რა არის საჭირო და ვინ უნდა გააკეთოს ის, რაც საჭიროა.



სავარჯიშოები

ახსნა-განმარტებითი მასალის ასათვისებლად მოყვანილია 1 ვიდეო, ეკონომისტის რჩევა, 5 სავარჯიშო

ეკონომისტის რჩევა

კონტექსტური რჩევა თემისთვის



აირჩიე პასუხისმგებლობა!

არ დაგავიწყდეს, რომ მთავრობაც ადამიანებისგან შედგება.

დემოკრატიულ ქვეყნებში ხალხი ირჩევს მათ, ვისიც, სჯერათ რომ ქვეყანას უკეთ მართავენ.

ლიტვაში ხალხი ირჩევს საჯარო ხელისუფლებას, ლიტვის სეიმს (პარლამენტი) და ადგილობრივ მთავრობას. ასევე ირჩევს პრეზიდენტს.

ყოველ ადამიანს შეუძლია დააკვირდეს თავის არჩეულ პარლამენტარს: როგორ მუშაობს, რა ფუნქციებს ახორციელებს, რა გადაწყვეტილებებს იღებს.

ფუნქცია	საჯარო	კერძო
1. მეწარმეობა		

2. საჯარო შეკვეთის შესრულება;
3. ცხოველთა თავშესაფრის მოწყობა;
4. ქველმოქმედება;
5. სასამართლო;
6. ჯანმრთელობის დაცვა;
7. ეროვნული თავდაცვა;
8. ყოველთვიური შესაფერისი ხელფასი;
9. პენსია ;
10. მონოპოლიების მართვა;
11. შრომითი ურთიერთობები;
12. გარემოს დაცვა;
13. სამართლიანი კონკურენცია;
14. განათლება;

სავარჯიშო 1.
რომელი
ფუნქცია
უნდა
განახორციე
ლოს
მთავრობამ
და რომელი
ფუნქცია
შეიძლება
აილოს თავის
თავზე კერძო
პირმა?
მოიყვანეთ
მაგალითები.

1. მთავრობის მთავარი ფუნქციაა მოქალაქეების მტრისაგან დაცვა.
2. საშუალო მოქალაქეს მთავრობის გადაწყვეტილებებზე ზემოქმედება არ შეუძლია.
3. მთავრობამ თავის თავზე უნდა აიღოს რაც შეიძლება მეტი ფუნქცია, რათა ქვეყანაში წესრიგი იყოს.

სავარჯიშო 2.
დაამტკიცე ან
უარყავი მითი

მითების
გამქარწყლებლებ
○

1. ლუკა, უკვე ექვსი თვეა, სამშენებლო კომპანიაში მუშაობს და ჯერ არ დაუწინაურებიათ. ლუკას მიაჩნია, რომ ეს არასწორია.
2. ზოიმ სტეისისგან თევზი იყიდა, რომელიც გემრიელი არ გამოდგა. ზოი ეჭვობს, რომ თევზი გაფუჭებული იყო.
3. ჯონსი გარეუბანში ცხოვრობს და მანქანით 10 წუთი სიარული სჭირდება, რომ უახლოეს სათამაშო მოედნამდე მივიდეს.
„ეს ძალიან მოუხერხებელია“ თქვა მამამისმა.
4. ჯოანა ფიქრობს, რომ მისი ქალიშვილი ძალიან გონიერი და

სავარჯიშო 3.
რა იქნება ქვემოთ აღწერილი ვითარებიდან საუკეთესო გამოსავალი?
ვინ უნდა გადაწყვიტოს ის, მთავრობამ, ხალხმა, თუ ორივემ?
როგორ და რატომ?

1. ჰიგიენის ნორმა: „კაცების ტუალეტში ჰაერის კონდიცინერება ორჯერ მეტი უნდა იყოს ვიდრე ქალებისაში“;
2. სამშაბათს, ყოველწლიური საპარლამენტო სესიის გახსნისას (რომელმაც ძალუფლების გადაცემის რუტინა დაასრულა), ჩინეთის მმართველმა ელიტამ ახალი მიზნები დასახა:
 - ეკონომიკის ზრდა 7,5 პროცენტით, კორუფციასთან ბრძოლის პირობა და ფიცი, რომ ხალხის ცხოვრების პირობებს გააუმჯობესებდა;
3. 2,000 კვადრატულ მეტრზე მეტი ფართობის ყველა შენობას, რომელიც აშენდა ან გარემონტდა 2014 წლიდან მოყოლებული, უნდა ჰქონდეს ბავშვის მოსავლელი ოთახი;
4. მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში დალაქის, თერძის, მრეცხავის, ფიტნეს კლუბის ან სხვა მსგავი მომსახურების განთავსებამ არ უნდა შეცვალოს შენობის მთავარი დანიშნულება;
5. 2012 წლამდე, ჩრდილოეთ კორეაში, ქალებს ქალაქის ცენტრში ველოსიპედით სეირნობის უფლება არ ჰქონდათ;
6. სამხრეთ კორეა ახალგაზრდებისთვის ონლაინ თამაშებს აკრძალავს. 12 აპრილს, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის სამინისტრომ ბრძანება მიიღო, რომლის მიზანია მოზარდების თამაშებისადმი დამოკიდებულების წინააღმდეგ ბრძოლა. ამის შემდეგ დაწყებითი და საშუალო სკოლის მოსწავლეებს დამით თამაში აკრძალათ;
7. ადგილობრივი ხელისუფლება ირწმუნება, რომ საჯარო პარკი განათებულია და იქ სეირნობა...

სავარჯიშო 4.
 გაეცანით ქვემოთ აღწერილ თითოეულ ვითარებას, რომელიც გამოხატავს მთავრობის როლს. თქვენი აზრით, არის მთავრობის ქმედება შესაფერისი? რატომ?

1. .
2. .
3. .
4. .
5. .
6. .
7. .
8. .

სავარჯიშო 5.
ჩამოთვალეთ
ფუნქციები,
რომელსაც
თქვენი აზრით,
მთავრობა უნდა
ასრულებდეს
(1 - ყველაზე
მნიშვნელოვანი,
8 - ყველაზე
ნაკლებმნიშვნელოვანი).



ეკონომიკური აზრი და მთავრობა

ნაწილი I

მთავრი კითხვები

რას ისწავლიან ამ თემის ქვეშ მოსწავლეები

“ ეკონომიკას უფრო მეტი თუ ნაკლები მართვა სჭირდება? შესაძლოა მედიაში მოსმენილი გქონდეთ დებატები, სადაც ეკონომისტები კეთილდღეობისა და წარმატების მისაღწევ სხვადასხვა გზებზე კამათობენ. ეს ნიშნავს, რომ მიზანი არის იგივე, ხოლო ინსტრუმენტები - სხვადასხვა. ზოგის აზრით - მთავრობის მიერ დადგენილი მინიმალური ხელფასის ოდენობა უნდა გაიზარდოს, სხვები კი ფიქრობენ - ასეთი რეგულირება საერთოდ უნდა გაუქმდეს. ზოგი მოითხოვს წახალისდეს მეტი მოხმარება, ზოგი ურჩევს დაზოგვას. ზოგი ამბობს რომ ლიტვისათვის ევრო არის საჭირო, ზოგიც ფიქრობს, რომ ეს ჩვენი დალუპვა იქნება.

რატომ განსხვავდება ეკონომისტთა აზრები ასე ძალიან? სხვადასხვა სასკოლო განათლება აქვთ? სხვადასხვა ეკონომიკას სწავლობდნენ? რა განაპირობებს ეკონომიკური აზრის ასეთ განსხვავებულობას და ვინ არის მართალი?

”

მოსწავლეებს ეცოდინებათ ვინ ქმნის ეკონომიკურ აზრს და თეორიებს.
როგორია ეს თეორიები, ვინ და რატომ ცდილობს რომელიმეს უპირატესობის დამტკიცებას და ყველასთვის სავალდებულოდ ქცევას.

პასუხები და მსჯელობა

თემის ახსნა-განმარტებითი ტექსტი და პასუხები

01 ვინ წყვეტს თუ რა უნდა იწარმოოს?

02 ვინ წყვეტს თუ როგორ უნდა იწარმოოს?

03 ვინ წყვეტს თუ ვისთვის უნდა იწარმოოს

ეკონომიკური აზრის გავრცელების სკოლები

სოციალიზმი არის ეკონომიკური სისტემა, რომელიც მხარს უჭერს მთავრობის აქტიურ ჩარევას ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში, ანუ ეკონომიკურ მბრძანებლობას. სოციალისტები აცხადებენ, რომ წარმოების საშუალებები (მიწა და კაპიტალი) და რესურსები სახელმწიფოს უნდა ეკუთვნოდეს, რადგან საუკეთესო განაწილება მხოლოდ ცენტრალური დაგეგმვით არის შესაძლებელი.

მთავარი პრინციპი კერძო საკუთრების დაცვაა. კერძო საკუთრების უფლება განაპირობებს ადამიანის მოტივაციას - იმუშაოს, შექმნას ღირებულება და განვითარდეს. მნიშვნელოვანი პირობა არის თავისუფალი ფასები. ინდივიდი თავისუფალია აირჩევანში: როდის, რამდენი, რა და როგორ აწარმოოს, მერე კი რამდენად დააფასოს. თავისუფალი ბაზრის მომხრე ეკონომისტები გამორიცხავენ სოციალიზმს და მთავრობის მიერ ეკონომიკის დაგეგმვას.

ქეინსიანელები შერეული ეკონომიკის მხარდამჭერები არიან. ამ ეკონომიკაში, მყიდველები და გამყიდველები თავის არჩევანში თავისუფლები არიან, თუმცა ისინი უნდა იყვნენ ზედამხედველობითა და რეგულაციებით, რათა ეკონომიკური ბალანსი მიიღწეს.

სოციალისტები: მბრძანებლური ეკონომიკა

ავსტრიული სკოლა: თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა

ქეინსიანელები: ტრადიციული, შერეული ეკონომიკა

დიახ

არა

1. შეგიძლიათ თქვენს მიწაზე

თქვენი ფულით სახლის აშენე

2. შეგიძლიათ ნაძვის ხის მოჭრა თქვენს კუთვნილ ტყეში?

3. შეგიძლიათ შეუთანხმდეთ მეგობარს, რომ მან სახლი
6 ევროდ დაგილაგოთ?

4. შეგიძლიათ თქვენი სახლის კედელზე ლურსმანი
დააჭედოთ, როცა კი მოგინდებათ?

5. შეგიძლიათ თქვენს კომპანიას რაც გინდათ ის დაარქვათ?

უპასუხეთ
კითხვებს. რა
ეკონომიკური
სისტემაა
საქართველოში?
ჩამოაყალიბეთ
თქვენი აზრი.
საშინაო
დავალება:
გამოიყენეთ
გუგლი პასუხის
მოსაძებნად.



საჯარო საქონელი და მომსახურება

ნაწილი I

მთავრი კითხვები

რას ისწავლიან ამ თემის ქვეშ მოსწავლეები



საჯარო პარკი თუ საჯარო რესტორანი? რატომ არ არის ჯონაჰაში კინო-თეატრი? იმიტომ, რომ ბიზნესისთვის არ არის მომგებიანი, არ არიან საკმარისი კლიენტები. რატომა იხსნება მეტი და მეტი უმი საკვების რესტორანი? - იმიტომ რომ მეტ მყიდველს უნდა. რატომაა, რომ ნაკლები მეწარმე ყიდის ანალოგურ კამერას? - იმიტომ, რომ ნაკლები ხალხი ყიდულობს მას.

ბიზნესზე მყიდველის სურვილი ზემოქმედებს, რის მიხედვითაც ის საზღვრავს რისთვის ღირს გარისკვა ფულის დასაბანდებლად. ბაზრის მექანიზმი ასე მუშაობს - ბიზნესმა შეიძლება მოიგოს მხოლოდ მყიდველის სურვილის დაკმაყოფილების შემთხვევაში.

სამთავრობო მექანიზმი სხვაგვარად მოქმედებს. მთავრობა განხაზღვრავს, რომელი საქონელი და მომსახურება უნდა იწარმოოს. მაგრამ მთავრობის მიერ, გამოყენებული ფული მოდის გადასახადების გადამხდელებისგან და არა დაკმაყოფილებული მომხმარებლებისაგან. ფულის წყარო მთავრობისთვის უზრუნველყოფილია სავალდებულო გადასახადებით, რაც ბიზნესისათვის ასე არაა. მაშინ როგორ უნდა გადაწყვიტოს მთავრობამ, რა მომსახურება გაუწიოს ხალხს?

რატომ გვაქვს საჯარო პარკი, მაგრამ არ გვაქვს საჯარო რესტორანი?



მოსწავლეებს ეცოდინებათ ვინ და რატომ ქმნის საჯარო საქონელს და რა განსხვავებაა კერძო საქონელს შორის. ვინ სარგებლობს საჯარო საქონლით და ვინ კერძო საქონლით.

პასუხები და მსჯელობა

თემის ახსნა-განმარტებითი ტექსტი და პასუხები

01

რა სხვაობაა საჯარო საქონელსა და კერძო საქონელს შორის?

02

რა არის გარე ფაქტორები?

ნეგატიური გარე ფაქტორი

სუპერმარკეტის არსებობა მრავალრიცხოვან უბანში

გარე ფაქტორი

გარე ფაქტორი: სარგებელი ან ზარალი, რომელიც მიიღება ადამიანის საქმიანობისაგან დამოუკიდებელი მიზეზების შედეგად..

პოზიტიური გარე ფაქტორი

სუპერმარკეტის არსებობა მრავალრიცხოვან უბანში

1. თუ მთავრობა არ იზრუნებს შენობების და გზების შენარჩუნებაზე, მაშინ ...
2. ადამიანები საკუთარი ჯანმრთელობის დაზღვევას პირდაპირ რომ იხდიდნენ, მაშინ ...
3. მეწარმეები რომ პასუხისმგებელი იყვნენ მოქალაქეთა დაქირავებაზე, კერძოდ, მათთვის სამუშაოს მოძიებაზე, მაშინ ...
4. საჯარო მომსახურებისთვის მხოლოდ ამ მომსახურების მიმღები პირები რომ იხდიდნენ, მაშინ ...
5. მთავრობა რომ წყვეტდეს ვინ და რამდენი აწარმოოს, მაშინ ...
6. თუ ადამიანი, პენსიაზე გასვლის შემდეგ, მთლიანად თავად იქნება პასუხისმგებელი საკუთარ ფინანსურ მდგომარეობაზე, მაშინ ...
7. მთავრობა რომ არ არეგულირებდეს ჰაერის დაბინძურების საკითხს, მაშინ ...
8. მთავრობა რომ არ არეგულირებდეს კონკურენციას, მაშინ ...
9. ყველა კომპანია რომ სახელმწიფო საკუთრება იყო, მაშინ ...
10. თუ მთავრობა არ დააფინანსებს ევროვიზიის სიმღერის კონკურსს, მაშინ ...

სავარჯიშო 1. დაასრულეთ წინადადება.



გადასახადები

ნაწილი I

მთავრი კითხვები

რას ისწავლიან ამ თემის ქვეშ მოსწავლეები



რით განსხვავდება გადასახადი სიკვდილისგან? არსებობს გამოთქმა, რომ „სიკვდილი და გადასახადები გარდაუვალია“. თუმცა ამ გამოთქმიდან ჭეშმარიტი მხოლოდ ერთია - სიკვდილი. გადასახადი გარდაუვალი გახდა მას შემდეგ, რაც ის ადამიანებმა გამოიგონეს. ის ადამიანების გამოიგონილია, ასე, რომ ადამიანებს შეუძლიათ შეამცირონ ან საერთოდ გააუქმონ.



მოსწავლეებს ეცოდინებათ რა ქმნის საზოგადოებრივი თანამშრომლობის და შემდგომ საზოგადოების მთავრობასთან თანამშრომლობის მოტივაციას.

როგორია ეს თანამშრომლობა და როგორია თანამშრომლობის ფარგლებში ფუნქციების განაწილება.

პასუხები და მსჯელობა

თემის ახსნა-განმარტებითი ტექსტი და პასუხები

01

ვინ იხდის საჯარო საქონლისათვის?

როცა გაკვეთილი მთავრდება, ბავშვები მასწავლებელს გაწეული შრომისთვის არ უხდებიან. ჩვენ არ გვჭირდება მონეტის ჩაგდება, რათა ქუჩის განათება ჩაირთოს და სახლისკენ მიმავალს გზა გაგვინათოს. რატომ? მასწავლებლები და პოლიციელები უფასოდ მუშაობენ? მშენებლებმა განათების ბოძი ანაზღაურების გარეშე დააყენეს და მასში მოთავსებული ნათურა უფასო მასალისგანაა დამზადებული?

მთავრობას არ აქვს ჯადოსნური ჯოხი, რათა მან შექმნას ისეთი სიკეთეები, როგორცაა გზები, ავტობუსის საწვავი და ფული საბანკო ანგარიშებზე მასწავლებლებისთვის. მთავრობა ხარჯავს ფულს, რომელიც მომუშავე ხალხმა გამოიმუშავა და შემდგომ ბიუჯეტში გადაიხადა. ნებისმიერი იხდის გადასახადს, როცა რამეს ყიდულობს, იქნება ეს საღებავი რეზინი თუ ავტომობილი. დასაქმებულებისა და დასაქმებულების მიერ გადახდილი გადასახადები გამომუშავებული შემოსავლის თითქმის 40% წარმოადგენს.

02

რა არის ძირითადი გადასახადები საქართველოში?

1. მოგების;
2. საშემოსავლო;
3. დღგ;
4. აქციზი;
5. იმპორტი

6. ქონების;



სახელმწიფო ბიუჯეტი

ნაწილი I

მთავრი კითხვები

რას ისწავლიან ამ თემის ქვეშ მოსწავლეები



შესაძლებელია სახელმწიფო ბიუჯეტი დარჩეს უფულოდ? სახელმწიფო ბიუჯეტი ფულის გიგანტურ ქვებს წარმოადგენს, სადაც გროვდება გადასახადები და საიდანაცხდება საჯარო საქონლისთვის გადახდა. პირადი ან ოჯახური ბიუჯეტის მსგავსად, სახელმწიფო ბიუჯეტი შეზღუდულია და იქ ყველაფრისთვის საკმარისი ფული არასოდეს არის; შესაბამისად, ის შეიძლება ფულისგან დაიცალოს კიდეც. თუ საგადასახადო შემოსავლები უცვლელი დარჩება და მეტი დაიხარჯება განათლებაზე ან რამე სხვაზე, საჭირო გახდება სხვა რომელიმე სფეროს დაფინანსების შემცირება. რომელ სფეროზე ხარჯავს საქართველო თავისი ფულის უმეტეს ნაწილს?



მოსწავლეებს ეკოდინებათ რა არის სახელმწიფო ბიუჯეტი, როგორ იქმნება ის, რაში და რატომ იხარჯება

პასუხები და მსჯელობა

თემის ახსნა-განმარტებითი ტექსტი და პასუხები

ისევე, როგორც პირად ან ოჯახურ ბიუჯეტში, შეიძლება დაიხარჯოს იმაზე მეტი ან ნაკლები ფული, ვიდრე მიღებული შემოსავალი. მდგომარეობა, როცა დახარჯულია ნაკლები ფული, ვიდრე შეგროვდა, წარმოადგენს ბიუჯეტის ნამეტს. ეს კარგი მდგომარეობაა, რადგან ფულის ნაწილი შეიძლება გადაიდოს რთული დროისთვის, დანაზოგებისთვის ან ინვესტიციებისთვის. მდგომარეობა, როცა დახარჯულია მეტი ფული, ვიდრე შეგროვდა, წარმოადგენს ბიუჯეტის დეფიციტს. ეს არ არის კარგი მდგომარეობა, რადგან მთავრობა იძულებულია ისესხოს ფული, რათა დაფაროს ყველა მიმდინარე ხარჯი. **ლიტვას, ევროკავშირის უმეტესი ქვეყნების მსგავსად, დეფიციტური ბიუჯეტი აქვს.** მდგომარეობა, როცა სახელმწიფო ხარჯავს იმდენს, რამდენიც უგროვდება ბიუჯეტში, წარმოადგენს დაბალანსებულ ბიუჯეტს.

შეფასება: საჯარო ხარჯები:

- გარემოს დაცვა
- ჯანდაცვა
- თავდაცვა
- გზების, რკინიგზებისა და საზღვაო პორტების მშენებლობა და შენარჩუნება.
- ფერმერების მხარდაჭერა
- საქალაქო ინფრასტრუქტურული განვითარება
- უმუშევრების, ობლებისა და უნარშეზღუდულების სოციალური მხარდაჭერა
- ლიტვის პრეზიდენტისა და პარლამენტის საქმიანობა.
- ენერგოპროექტების განვითარება
- საგარეო პოლიტიკა (უცხო სახელმწიფოებთან კარგი ურთიერთობის დამყარება, ლიტვის წარმოდგენა საერთაშორისო ორგანიზაციებში)
- პატიმრები და ციხეები
- კვლევები ახალ ტექნოლოგიებზე
- განათლება

სავარჯიშო 1.
განსაზღვრეთ
საჯარო
დაფინანსების
პირობრიტეტები.
შეაფასეთ,
რამდენად
მნიშვნელოვანი
ა მოცემული
ხარჯი (1
ყველაზე
მნიშვნელოვანი,
13 ყველაზე
ნაკლებ
მნიშვნელოვანი).



ეკონომიკის მაჩვენებლები (ინდიკატორები)

ნაწილი I

მთავრი კითხვები

რას ისწავლიან ამ თემის ქვეშ მოსწავლეები



ქვეყნის ჯანდაცვა. ცალკეულ ქვეყნებს შორის დიდი განსხვავებაა. ზოგს თბილი კლიმატი აქვს, სადაც ზღვის ნაპირზე გარუჯვა მთელი წლის განმავლობაშია შესაძლებელი. ზოგიერთ ქვეყანაში ექვსი თვე ღამეა და შემდეგ ექვსი თვე დღე. ზოგიერთი ქვეყანა ზღვის დონეზე დაბლაა (ნიდერლანდები), ზოგიერთი კი მაღლა მთებში (ნეპალი). ეს არის გეოგრაფიული განსხვავებები. ზოგი ქვეყნის მოსახლეობა სულ 3 მილიონია, ზოგის კი მილიარდზე მეტი. ხალხი განსხვავებულია რასითა და რელიგიით; ისინი მიირთმევენ განსხვავებულ საჭმელს და თავისუფალ დროს სხვადასხვანაირად ატარებენ. ეს არის დემოგრაფიული და კულტურული განსხვავებები. კიდევ ერთი საზომია, თუ რამდენად მდიდარნი არიან ამა თუ იმ სახელმწიფოს მოქალაქეები. არის ხელმისაწვდომი მათთვის სახლი, ჯანდაცვა, განათლება, სუფთა საჭმელი და წყალი? ეს არის ეკონომიკური განსხვავებები. როგორ შეგიძლიათ თქვათ, რომ მოცემული ქვეყნის მოქალაქეები კარგად ცხოვრობენ თუ ცუდად? არის ქვეყანა ეკონომიკური სიძნელების წინაშე თუ არა?



მოსწავლეებს ეცოდინებათ რა ქმნის საზოგადოებრივი თანამშრომლობის და შემდგომ საზოგადოების მთავრობასთან თანამშრომლობის მოტივაციას.

როგორია ეს თანამშრომლობა და როგორია თანამშრომლობის ფარგლებში ფუნქციების განაწილება.

პასუხები და მსჯელობა

თემის ახსნა-განმარტებითი ტექსტი და პასუხები

01

რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური ინდიკატორი?

1. მთლიანი შიდა პროდუქტი
2. ინფლაცია
3. უმუშევრობა
4. საკუთრების უფლება

ეკონომისტის რჩევა

გამოთვალეთ თქვენი ბედნიერების დონე! არის მცდელობები გაიზომოს ის, რაც რთული გასაზომია. ერთ-ერთი ასეთის მაგალითია მსოფლიოს ბედნიერების ინდექსი. ასეთი ინდექსის გამოთვლა გულისხმობს მთლიან შიდა პროდუქტს, სიცოცხლის ხანგრძლივობას, კორუფციული ცნობიერების დონეს, არჩევანის თავისუფლებას, ადამიანების ხელგაშლილობას და საჭიროების] შემთხვევაში მხარდამჭერ სტრუქტურებს. სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში ბედნიერების დონე საშუალოზე დაბალია.

	სამუშაო ძალა	უმუშევარი	პასიური პირი (არ მონაწილეობს შრომის ბაზარში)
1. დაწყებითი სკოლის მოსწავლე.			

2. არმიის კაპიტანი.
3. პენსიაზე გასული მშენებელი.
4. სახლში მომუშავე ტატუს მხატვარი.
5. პრაქტიკანტი მასწავლებელი, რომელსაც გასავლელი აქვს ერთწლიანი საკვალიფაკაციო ტრენინგი.
6. პარლამენტის წევრი.
7. ქალი დეკრეტულ შვებულებაში.
8. მწერალი, რომელიც რვა წლის განმავლობაში ვერ ახერხებს დაასრულოს თავისი პირველი და ერთადერთი ნოველა.
9. 80 წლის ბებია, რომელიც უვლის თავის პატარა ფერმას
10. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი.

სავარჯიშო 5.
რომელ ჯგუფს ეკუთვნის ქვემოთ აღწერილი თითოეული პირი?



ინფლაცია და დეფლაცია

ნაწილი I

მთავრი კითხვები

რას ისწავლიან ამ თემის ქვეშ მოსწავლეები



როდის ღირს ფულის ღუმელში დაწვა? როდესაც ფული უფრო იაფია, ვიდრე შეშა! სიღარიბე არ ნიშნავს მარტო ფულის ნაკლებობას. ადამიანი შეიძლება ცურავდეს ფულში, მაგრამ არაფერი ჰქონდეს საჭმელად. საქმე ისაა, რომ ფული, რომელიც ამ ადამიანს აქვს, შეიძლება ძალიან ცოტა იყოს ბრუნვაში გაშვებული ფულის უზარმაზარ მასასთან შედარებით. ქვეყნები დაეცა და ეკონომიკური სისტემები დაიმსხვრა, რადგან არასწორად იყო გაგებული ფულის, ინფლაციის და დეფლაციის არსი. ქალაქის ფულის ბეჭდვისას, მოლოდინი იყო, რომ ადამიანები გახდებოდნენ უფრო მდიდარი და პრობლემები მოგვარდებოდა.



მოსწავლეებს ეცოდინებათ რა ემართება მათ და მათი მშობლების ფულს, რატომ ღირს სხვადასხვა დროს ერთი და იგივე საქონელი სხვადასხვა ფასი. რატომ ღირს უცხოური ვალუტა ძვირი ან იაფი.

პასუხები და მსჯელობა

თემის ახსნა-განმარტებითი ტექსტი და პასუხები

01

რა იწვევს ინფლაციას და დეფლაციას?

ეს ორი ტერმინი აღწერს ბრუნვაში გაშვებული ფულის მასის ზრდას (ინფლაცია) ან ფულის მასის შემცირებას (დეფლაცია). ფულის ბეჭდვაზე პასუხისმგებელია ეროვნული ბანკი.

ინფლაცია: მიმოქცევაში არსებული ფულის მასის ზრდა, რაც იწვევს ფულის ღირებულების შემცირებას.

დეფლაცია: ფულის ბრუნვაში მიწოდების შეზღუდვა და შედეგად მისი ღირებულების ზრდა.

ეკონომისტის რჩევა

გაიაზრეთ ფენომენის ნამდვილი მიზეზი და შედეგი. როცა ჩვენ ვლაპარაკობთ ინფლაციაზე (ფულის მიწოდების ზრდა) და დეფლაციაზე (ფულის მიწოდების შემცირება), მნიშვნელოვანია გავიგოთ, რომ ინფლაცია და დეფლაცია საქონლისა და მომსახურების ფასების დონეს განსაზღვრავს. ამიტომ, სტაბილური ინფლაციის დონე, სულ რამდენი მე პროცენტი, არ ნიშნავს, რომ ეკონომიკა იზრდება, რადგან ინფლაცია გულისხმობს ვალუტის მსყიდველობითი უნარის კლებას.

სავარჯიშო 1. გამოთვალეთ.

- A. თქვენ ჯიბის ფულად ყოველდღიურად 1.20 ევროს გაძლევენ. კინოს ბილეთი 4 ევრო ღირს. კვირაში რამდენჯერ შეგიძლიათ კინოში წასვლა?
- B. კინოს ბილეთი გაძვირდა და გახდა 4.50 ევრო. კვირაში რამდენჯერ შეგიძლიათ კინოში წასვლა?
- C. კინოს ბილეთი გაიაფდა და გახდა 2.80 ევრო. კვირაში რამდენჯერ შეგიძლიათ კინოში წასვლა?
- D. თქვენ ჯიბის ფულად ყოველდღიურად უკვე 1.50 ევროს გაძლევენ. კინოს ბილეთი გაძვირდა და გახდა 6.50 ევრო. კვირაში რამდენჯერ შეგიძლიათ კინოში წასვლა?

მადლობა ყურადღებისთვის

გიორგი ჩიქოვანი

Email: Giorgi@nesgeorgia.org

Facebook: Giorgi Chikovani

